ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №58

2015 წლის 11 ივნისი,
ქ. ბათუმი

ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის, 42-ე მუხლის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ბსუ–ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატურის შერჩევის მიზნით კონკურსი ჩატარდეს **2015 წლის 2 ივლისს;**
2. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს ბსუ–ს საარჩევნო კომისიაში (მისამართი: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ.№35, ოთახი №4), 2015 წლის 12 ივნისიდან 2015 წლის 26 ივნისის ჩათვლით, 10 საათიდან 17 საათამდე, უქმე დღეების გარდა;
3. კანდიდატმა სარეგისტრაციოდ უნდა წარმოადგინოს:
   ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
   ბ) ავტობიოგრაფია (C.V);
   გ) ბსუ–ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ გაცემული ცნობა აკადემიური თანამდებობის (პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის) მითითებით.
   დ) 2 ცალი ფოტოსურათი, ზომით 3/4-ზე;
   ე) სამოქმედო გეგმა;
4. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ–ს ვებ-გვერდზე და კანცელარიასთან არსებულ საინფორმაციო დაფაზე;
5. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
პროფესორი **გურამ ჩაგანავა**